

# თეატრი

საქართველო-ლიტერატურული და მსატკბობითი გაზეთი.

24 ნოემბერი

გამომცემა

№ 14

კვირამბი

1885 წელს.

### ფაზა „თეატრი“-ის

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკლება წლიურად: ხელის-მოწერისათვის სამი (3) მანეთი, მისწერეთი (1) მანეთი და პარამობის თვეშიც ერთი (1) მანეთი (ცალკე სომეხი „თეატრი“-ს დასს სამი (3) მანეთი). ფასი განებადებისა: ძველ გვერდზედ სტრუქტურა 5 კპ. პირველზე 10 კპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

### სელის მოწერა მაღლებს:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში მძ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლისწიგნის მაღაზიაში. იროსტომაში ილიან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Tiflis, Petakia „Teatri“.

კორესპონდენტები და საზოგადო ნაწილები პარ-და-პირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდვლ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

ქართული  
18



თეატრი  
85

დღეს, კვირამ,

24 ნოემბერი

ქართული დროსტოული დასისგან წარმოდგენილი იქნება:

## I დამნაშავეის ოფისი

დრამა 5 მოქმ., თხზ. ჯიოკომოპისა.

## II

სუსტი მსარე

მოდელი 1 მოქმედ.

დასაწყისი 8 საათზე.

თეატრი და მსახიობნი (აქტიორები)

მაკული, საშუალო და ახალი დროისა

(შეზღვევა \*)

ოპერატორი ძარლის მე IV დროს მის-ტერზენგერებს სხვა-და-სხვა უფლებანი ჰქონდათ მინიჭებულნი. მე XV საუკუ-ნიდამ ყველგან გაერთელებულმა მისტერიებმა ნე-

\*) იხილეთ თეატრი № 9.

მეცებში და ფრანგებში სრულიად სხვა ხასიათი მი-იღეს. რამდენიმე ამ ნაირ ნაწარმოებდავან შემოზ-სენებულმა ხალხმა შეადგინა ერთი, რომელსაც მი-ცვა როგორც მეტი აზრი, ისე სისრულეც. ამ ნაირ ციკლოკურ წარმოდგენებს, ნაცვლად რამდენიმე სა-ათისა, უნდებოდა რამდენიმე დღე. წინანდელი პა-ტარა ხარაზობის მაგივრად, რომლებსაც საქიროე-ბისამებრ ხან აქცევედნ და ხან აშენებდენ ხოლო-მე, დაიწყეს თეატრების აშენება, რადგანაც პირ-ველნი ევლარ აქმაყოფილებდენ მათ.

პარიკის ერთ საზოგადო წიერთ-საკეში „შენა-ხულა ხელთ-ნაწერია, სახელად „Mystère de la Pas-sion“. ამ ხელთ-ნაწერის თავში ეხებადეთ დახატულ თეატრს, სადაც იმართებოდენ წარმოდგენები. ამ ნახატოვამ სჩანს, რომ სამოთხე, ნახარეთი, ეკლე-სია, იერუსალიმი, სასახლე, ეპისკოპოსის სახლი, სა-მოთხის კარებზე და ჯოჯოხეთი რაგზედ ყოფილა გაწყობილი. პატარა ოთხ-კუთხს ადვილს ოქროს კარის წინ დატოვებულს ეძახდენ ზღვას და წარ-მოდგენდა ეხლანდელს ავან-სცენას. ამ სუათში სა-მოთხეს და ჯოჯოხეთს უჭირავთ თეატრის გვერდ-ების ალაკი; ამისთანა განწყობილებას მარტო აქა ეხებადეთ; საზოგადოდ სამოთხეს ცხირა სცენის შუა გული. დიდი ხერელი სცენის წინ- ნიშნავდა ჯო-ჯოხეთს. ამ ხერელიდამ ამოდიოდენ ეშმაკები სცე-ნის ძირიდან, იქიდან სადაც ძველი ბერძნების ხა-

რო იყო ხოლმე და ცხლა კი ორკესტრია. იმ დროის ქაჯები, რომელნიც ცხლანდელს კლოუნებს მოგვაგონებდნენ ყველა-ნაირ მოძრაობას (ეკოლუციებ!) აკეთებდნენ და, თუ საჭიროება მოითხოვდა, ადიოდნენ კიდევ სცენაზედ. მაყურებლები დაშორებულნი იყვნენ სცენისაგან ერთ-ნაირის ღობით (erénu) უბრალო წარწერა უჩვენებდა მოქმედების ალაგს. ქველა ნაირი მაშინები, თოკის კბეები და საფრენი მაშინები თეატრის აუცილებელს საჭიროებას შეადგენდნენ.

თეატრის გამართულობა ყველგან ისეთი იყო, როგორც ზევით ვსთქვით. დეკორაციების მაგივრათ ხან-დის-ხან უბრალო ფარდებს ხმარობდნენ, რომლებსაც ჩამოკიდებდნენ ხოლმე, როგორც სცენის სიღრმეში, ისე გვერდებზე. შესვლა-გამოსვლის დროს მსახიობი ასწევდა ხოლმე ფარდას. მსახიობნი მაშინაც კი თავიანთ დროს ტანისამოსს იცვამდნენ, როდესაც თამაზობდნენ შორეული ეპოქის პირებს, გარდა მხოლოდ მეფეებისა და მართალთა. ქაჯეზას როლი დიდ სიფართოვს აძლევდა მსახიობს ტანთ-საცმელის და გრიმის გაკეთებაში. უსაჭიროვს ტანთ-საცმელ კუთვნილებას შეადგენდა გრძელი კუდი, რომელიც ძალიან უშლიდა თამაშს, რადგანაც ერთმანერთს ხშირად ადგამდნენ ხოლმე იმაზე ფეხსა. ამ ნაირად ქაჯების როლმა შეიტანა პიესაში კომიკური ელემენტი.

ამ გვარ წარმოდგენებში მონაწილეობის მიმღებ პირთ შეეძლოთ შეენახათ დახლში (კასაში) ან თითო ეკიუ, ან სრულიად არაფერი. შემოსავალს ორ-ნაწილად ჰყოფდნენ; ერთს იღებდნენ ის მსახიობნი, რომელნიც მონაწილენი იყვნენ წარმოდგენის ხარჯში და მეორეს დაწარჩენები. მასის შემოსავალი შესდგებოდა მონაწილეთა შემოტანილის ფულისაგან, მუნიციპალიტეტისაგან და მაყურებლებთაგან. ხარჯში მონაწილეობის მიმღებნი მსახიობნი, ფიცს აძლევდნენ მიეღოთ ყველა ნაირი მონაწილეობა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ელოდათ ან ციხეში ჩასმა, ან ჯარიმა. მიწ რეპეტის (Repetis) დაკლებოდა, ისიც ჯარიმას იხდოდა. ჩუმიდ მოთამაშე პირებს (ფიგურანტებს) ეძლეოდათ თითო წარმოდგენაში ექვსი დენიე, ანუ თითო ლიარი.

(შემდეგი იქნება)



კითხვა-პიკება

ულბულო! რატომ აღარ სტვენ?  
მარდი შენს მღერას ელისო!  
— რაღა და როგორ ვიმღერო;  
შხამი მაშინებს გველისო.

\* \*

პოეტო! რატომ აღარ სწერ?  
რაზენდ აიღე ხელიო?  
— რაქნა რომ ყველა მე მიღრენს,  
მიბლვერენ ვითა მგელიო.

ჯაკა.

ივ. კვ. 172

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ჩვენ ლიტერატურაზე

III

(შემდეგი \*)

როდესაც ქართულ ლიტერატურაზე ბასაობ, ანუ სასოგადოდ საქართველოზე, უნდა იქონიო სახეში ძველი და ახალი საქართველო. ჩვენს ქართველები ეპეუონით ერთს უძველეს საღსთაგანს. ისტორიას არ ახსოვს, როდის დაესასლა ჯეკვა, როგორც არ ახსოვს დასაწყისი ეკვიპტელებისა, ფინიციელებისა, ბერძნებისა და სხვა საღსებისა. მამსადაძე ჩვენს ლიტერატურაზე ორ გვარია; ძველი, რომელსაც სრულებით არა ვითარი დამოკიდებულობა არა აქვს ახლთან და რომელიდგანაც ნაწევრები თუქცა-და მვირფასი, დაგვრჩენია და ახლა, რომელიც თითქმის მთლად ამ საუუქუნეს ეკუთვნის და არა ვითარი კავშირი არა აქვს ძველ ლიტერატურასთან, გარდა კეთილად ძველი დროის მოსსსნიებისა. მარიალია, ორთავე ლიტერატურა, როგორც ძველი, ეგრევე ახალი ჩვენს ბეეკუთვნის, შეიძლება ორთაგენი სხვა საღსის ლიტერატურაში ივენენ გადმოტანილნი თავის დასაწყისში და დასაწყისი ჩვენს ნიადაგზე, მაგრამ ეს მაინც არ გავძლევს ნებას არ გაკავშირდნოთ იგი. ამას გარდა ჩვენი გამოკვლევის მიზნად უნდა გავსაღოთ: თუ რომელი ლიტერატურა უფრო განუხუბრიდა და შეითვისა ჩვენი ნიადაგი; ძველი, თუ ახალი. რასაკვირველია ამ შემთხვევაში ბეეკი შრომა დაგვჭირდება. განსაკუთრებით შრო-

\*) იხილე „თეატრი“ № 9.

მას კი ძველი ლიტერატურა თხოულობს. აქნობამდის ვერ გარდავიწყებთ „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური თხზულებას, თუ სათარგმნი. ჩვენს ცნობებებს ეკება თუ სხვისი (?). ავთორიტეტის ხომ სულ არ ვიცი რა ჯერ-ჯერობით. ასე რომ ჩვენი ძველი ლიტერატურის გამოკვლევა იკუთვნის მკვლევარს, რაც შეეძლება ახალ ლიტერატურას. მისი გარეგანი დამბრკოლებები მისე-სები მოკლესიანიო იყო. ამ მისეებს უფრო უნდა მოეწონებინათ და მის განსჯას და გარეგანს, რომ შეუდგეთ ზარქმ ან იქმნებოდა ურთობა; რადგან ბევრი ეკლავა იმაში განათობა და ვ სადაც ახალ ლიტერატურას, ჩვენის აზრით, არავითარ დამოკიდებულება არ აქვს ძველთან, ძალიან ადვილად შეიძლება ორთავის გამოკვლევას ცალ ცალკე შეუდგეთ.

IV

ესაინდელ დროში, როდესაც გაცი კირელ მტკვი-ტელ შეუდგა ძველის გამოკვლევას, დიდა მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ ნაშთებს შეცნობებისათვის. არა-ფერი არ ჰქონს ნათელს ძველი გაცის ცნობებს ისე გარდა, როგორც ლიტერატურა. ძველი ბერძნულად რომდენიმე ძვირფასი წიგნებში გამოიარეს რა ცეცს-ლი და წყალი, მოახწიეს ჩვენამდე. ამ წიგნების სა-შუალებით ჩვენ ადვილად გავიგეთ, თუ როგორ სცნო-რობდა ძველი ბერძენი, ან რა იყო იგი. ზოგიერთს ხელ-ხისაგან არ დაგვრჩენია ლიტერატურა და უოველმა მცო-რედ მანც ნაკითხმა იცის, თუ რა ძვირად უღირს ეს-ლანდლებს ამ დღეს მკვლარი ხელისების ცნობების გა-მოკვლევა. მილიონები ისარქება ამ საგანზე და ასე-ოლოგია მიდას წინ შეუჩერებელის ნაბიჯით და მისაგან შენაძინი თან-და-თან ფაროკვდება. მაქას სწიხქნაან და შ... ჰლოლობენ რადც ჰგების სამტურეებს, ძველ დროის ტურტლებს და ოკსას ალაფს. სცდალობენ აღმოკით-სონ მათზე, რომდენიმე ათასას წლის წინად, რადც ნიშნებით ზედ წარწერილება და ზმითი შეადგინონ მცო-რედ მანც დასლობული შთაბეჭდილება წასრული დროის ცნობებსზე. გაიგონ, თუ რა კანონებს მიმდინარეობ-და ეს ადრინდელი ცნობება და რამოდენად წინ წამოქ-ლას ახალი. ისეთი დიდი და განუსაზღვრავი მნიშვნე-ლობა აქვს ლიტერატურას გაცის ცნობებში. ამასე ბევრი თქმულა და უადგილო იქმნება ჩვენს რამე დავს-მინით.

თუ კი რადც ცნობებს ჰკრთავენ ძველი ნანგრე-ვებამდე და ნატამალიდამ, რასაკერადაც, რომ ლიტერა-ტურადი უფრო ბევრ ცნობებს შეჰქრებენ. სადაც გ-ცისათვის გარდმოცემას ანუ სსოგნას უმტურებობა, იქ ლიტერატურა გამოჩენილად მწედ. ჭალადი უოველთვის უფრო წაუწყენილად ინასეს მბარებულს, ვადრე გარდ-

მოცემს და სსოგნა. მე იმას არ მოგასხენებთ, რომ გარდ-მოცემას სრულებით არა ჰქონდეს მნიშვნელობა. მსო-ლოდ გარდმოცემა და ლიტერატურა ერთი მეორეს სკლას უნდა უწყობდეს. რთ შედარებას კი ვერ გავებდეთ, ვი-ნაიდგან ლიტერატურას უოველს შემოსევაში უბარტე-სობა უჭირავს. ანამც თუ გარდმოცემა, არამედ ისტო-რადც ძალიან ცოტა ცნობებს გვამლევს თამარის დროის ცნობებსზე, მაგიერმა „ვეფხისტყაოსანი“, „ავთორიტე-ტი“ და შეიძლება გამოჩენდეს ბევრი სსკა ამ გარი წიგნი-ბი, ჰუენენ ნათელს ისტორიის მსრადამ იმ ჩვენისკ-ს გაუგებელ დროს. ამ წიგნებამდე ჩვენ ვტყობადლობთ ბევრ რამე საუუადადობს ჩვენის ძველი ცნობებამდე, ხელსის იდელებს, ჩვეულებას, შეხედულებას, ტემო-ნებას და სსე.

უმტკველად, რომ მწერალი უნდა მასდევდეს სანამდ-ვილეს გვალ-და-გვალ, რაც ძალი და დონე აქვს. მსო-ლოდ ამითი დამსასურებს იგი უკვდავ სახელს; ნაწარ-მოები მათ უფრო ძვირფასია, რაც სანამდვილეზე ახლოა. რასაკერადაც შეუდგომობას ჩვენ ვერ მოკითხოვთ. შეტრდება გაცთა ბუნებაშიაო, იტურადენ სოლდე რო-მელნი, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ შედა-რებით შედგობა უნდა იფანტებოდეს, ანუ, უკეთეს გსთქვას— იმალებოდეს შეუდგომლობაში.

მწერალი უნდა იუკეს ხელსას სწავლის სელთამლო-ლი, მოთავსე. იგი უნდა ჰკრებდეს სასარგებლო იდეებს და აკრებდეს ხელსში. მწერალს უნდა ჰქონდეს რწმე-ნება საზოგადოებაში; იგი შეუდგომდა უნდა გრძობ-დეს ხელსას საჭიროებას და მკურნალობდეს მათ. იდეის არ იბადება წამით. შეძლება მისი თესლი ასის წლის წინად იყო ჩკედებული; რაც ძალე აღმოცენდება იგი, მით გრცია. მწერალმა აქ უნდა გავიწიოს სამსასურა, მან შოტაური გამსობით უნდა ამოხსნავოს იგი და მასცეს ხელსას გუთინალებად. გაცის ისეთი იდეა არ მოუ-ვა რომელიც არ აღიაროს რამოდენიმე შარმა საზო-გადოებაში. ვადამ მომკვდინებელ ცოდვად ჩასთვალა, ოდესც გაცი სასარგებლო იდეის არ გამოაცხადებს წე-რითით, იგი თამამად უნდა წარმოსთქვას. მაიღებენ, თუ რა ეს შენს თანამედრობზე იქმნება დამოკიდებუ-ლი. შენ მსოლოდ შენი ვადი უნდა აისადო. ად-ვილად შეიძლება, რომ შენ ნაწილც არ გქონდეს მწერ-ლობასა, — ამინც არ უნდა შეგშინოს. შენს რ მ-ტარებელი კეთილის ჰზრის, რომელიც ვადებული სარ ხელსს გადასცე. გაცის საზოგადოების წევრა, მამასადამე ასე იქნება, თუ ისე, საზოგადოება უნდა გრძობდეს მის წევრობას. იგი (საზოგადოება) არ უნდა უფურდებს მას, როგორც უნაყოფო სეს. ზოგიერთი ჰვიჭობს: ვაი თუ ჩემი აზრი არ გამოდგეს! ეს სისუსტე. ზოგიერთი მოელის: მოკვადრო და ჩემზე უნაქარვისი.

გაგებინებს კეთილ აზრებს სასოგადოებას! ან უნდა უმისოდეს გაცნოს კეთილის აზრის დამკვიდრების, კეთილი უოველთვიის კეთილია და კეთილად დარჩება. ეს წუთის სოფელი იმ გეგმად, რომ ქვესაგ გო მოასუდებს. ჩვენის აზრით, უფრო სასარგებლო და სასურველია, როდესაც მის ადგილას მეორე, რასაკვირველია უმჯობესია, დაი. ჭერს. ის კი ანა სიფიქრული, რომ აღინდელი იდეა მომკვდარიყოს, სრულებითაც არა! მან აღსარდა მეორე უკეთესი და თვითონ სამიარველად გაუკეთდა მას. გაცი იბადება — იდეაც იბადება. გაცი მოსუდდება, მარა კეთილი აზრი და მისი სიჭმე დარჩება, თუ კი გაცნოს უნაყოფოდ არ გაუტარების თავის ცხოვრება, იგი უკვდავია, თუ გინდ მისი სასელი რომ დააკარგოს. და თუ ჩვენ მოსუდებულ მშობლებს, ანუ მოღვაწეებს ზეტისას ვსრუით და ვერ შეუტრცხვოთო, მათის აღინდელი სამსახურისთვის, ვერც ძველს კეთილია საქმით შეუტრცხვოთო, ვინაიდან მათ თავის დროსე სამსახურა ტავიყავს. იმის დანამტკიცებლად მე მოკვირან ბელისთვის აზრს: „სასოგადოებაში აჩინ მსწრაფის, წინ-დაუხედედენა ზიარნი, აჩინ წყინარნი და ფრთხილნი. ნწრაფა შესცდება, თუ სთქვა, რომ წყინარები არ აჩინ საჭიროო და უკეთესი იქმნებოდა იმთი უმყოფლობაო; ვერუაუე შემცდარა იქმნება წყინარი, თუ ამასაგე იტყვის სწრაფსე“ (сочинения Вѣлиискаго т.VIII, стр. 351) ბელისთვის რასაკვირველია რადე უნდოდა გამოეთქვა ამ მოასრებთ, მკვრამ გარეკვიით ვერც სთქვა... მწერალი უნდა ეტადო მოუტანო შესაფერა სარგებლობა შეს დროს, რომ შესა ხაღსას ზროგრესში შესც მონაწილეობა ტექსის. თუ მწერალი იმას სცდალობს, რომ უკვდავი იქმნეს, როგორც მისი სასელი, ვერუეუე ნაწერებიც, მამინ მან თავი რეკრესისტებში უნდა ჩაიწეროს, ვინაიდან იგი თხოულობს წამბატების შესერებას. მისი სურვილი მამინ დაკვიყოფილდება, როდესაც მის ნაწარმოებებს ვერ გადაბიჭებენ.

რაც ბევრი სასარგებლო აზრები იქმნებაან ნაწერში, იგი მით უფრო მკვირფისი და უკვდავია. მწერლის თუ იდეები არა აქვს, მისი შრომა უქმია; ნაწერი უსინთლო და უნიჭო. ასე რომ, როდესაც კსურს შესწონო მწერლის ღირსება, უნდა შეადგინო ანგარიში მისიან გამოთქმული აზრებისა. როგორც მდიდარ აზროვანი მწერალი მკვირფისია, ვერუეუე მკვირფისია ლიტერატურა, რომელიც აზრით და იდეებით გაკისრებულია. საუბედუროდ ჩვენ დავეუწყოთ გზომილი საგონე სტატისა. დროა დაუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

რ. აღისუბნელი.

(შემდეგი იქნება)

უ ა ნ ტ ა ზ ი ა



ოდით დარდებო, ნუ მომშორდებიო,  
დაჩვეული ვარ თქვენსა მხერასა!  
თქვენ თითონ იცით, რომ ბედ  
წყეული,  
ბუნებამ მიმცა ამა წერასა!

რა შეეჩვია ცრახელვე გული  
ათას ვაებას, კენესას, წყევასა;  
ამაზედ მოვსთქვამ ობოლ-ობერი,  
ალარ მოველი გულის ღხენასა.

არც სიყრმის ჟამებს, უდარდელს, ტკბალებს:  
არც გულის ფეთქით მომავალ ღხინებს;  
არც მეგობართან, გულ-მტკივნეულად,  
სრემლის შესრობას; თვალთ მონადანება.

ისევ შენ მტანჯე გაუკითხავო!  
შხამით ამავსე, შენ ღვთის რისხვაო!..  
ისევ სევდება აღელდით გულში!  
და უბედური მაცურვე ზღვაო!

მეც ტალღებთან ჩემი სიცოცხლე,  
მს უფერული, თან ჩაიტანოს  
და ჩემი ძვლები, ქვით დამსხრეულნი,  
ზღვისა ნაპირზე ქვიშამ დაფაროს..

რომ მეგობართა, მოძმეთ სანაცლოდ,  
შენმა ღელვებმა მე გამიტანოს  
და ამ ტანჯულსა, ამ სოფლით დასჯილს  
მითი ნუგეში რამ მამიტანოს.

კნ. ნ. ორბელიანისა

# ფელტონი

მურა დანიტხონი.

თავი V

ცოფიანი ძაღლი. გოგია.

(შეშფოვი\*)

ოდღესვე გავარდნილმა საშინელმა სიმაძსოფელში ცოფიანი ძაღლი დადისო—ელვანავით მოიბრინა და შეჭზარა მოელი სოფელი. ცოფიან ძაღლსე საშინელი არაფერია კაციანათვის; ცოფი სწამლავს სისხლს, სსკულს და თვით ავად-ყოფს აწიზლებს თავის თავს და სტანჯავს საშინლად: მუდამ წელის ნატრული, ის შიშით გარბის მისაგან. მაგრამ ეველანსედ უფრო საშიში ამ ავად-ყოფობაში ის არის, რომ მას არა აქვს წამალი; მასთან ერთად ეოველი იმედია დაკარგული მორჩენისა. მარტო ცოფიანი კაცი ეესვეწებათ ნამდვილად მოაშორთთ ის ღიცოქსლეს. სერმე ვის იზოვნით იმისთანას, რომელიც შეიძლებდეს ავად-ყოფის თხოვნის აღსრულებას?

გაუფთხილდით ცოფიან შვილს დედავ და მამავ; ცოფ მორეულ მძას, დაო და მძაო! რაც უფრო მან უევარხარ ცაცოფებულს, იმდენად უფრო მძლავრად ჩაკვიდებს თავის კბილს, რომ განიქაროს საშინელი წეურვილი. ერთის მხრით მასში ჯერ კიდევ შენახული კაცური გრძნობა ეესვეწებათ უფთხილდეთ მას და ამავ დროს რაღაც მსეცური და სახარული ქმნილება გამავებული იწევს თქვენკენ, რომ თავის მდგომარეობაში ჩავაყენოთ. ამისათვის რას არა სხადის იმისი სადგანლაც მოვაოებული მსეცური ძელა. რა გვარის გამეტებით ამ-

ტერეეს თავის მიჯანჭულ სელ-ფესთ ავად-ყოფი მსოლოდ იმისთვის, რომ დაეწაფოს ოდესმე თავის მაგ-გვარ არსებას. დიას, საშინელია ცოფ-მორეული ავად-ყოფი: მთელი კაცობრიობის ისტორიის მატიანეში, სსვა ათას გვარ სახარელ სტანჯავთა შორის, არ გავგონილა, რომ ოდესმე კაცი დაესაჯოთ ცაცოფებით...

საშინელია ეს ავად-ყოფობა და ამისათვის ცოფიანი ძაღლის გაჩენის სმასედ ეოველი კაცი იღებს თოფს, კეტს, ბარს და სსვასაც, რაც მოსვდება სელში და გარბის, რომ რაც შეიძლება მალე მოკლან ძაღლი და მასთან ერთად ძირში ამოჭკვეთონ ეს საშინელი ავად-ყოფობა...

ამ ამბავმა გოგიამდის ჯერ კიდევ გსასედ მიასწია, როდესაც ის ფოთლით დასურგული მოდიოდა შინ. ამ ამბავმა მოატონა თავისი შვილი და, რადგანაც იცოდა თავის ცოლის დაუდევრობა, გამოაქარა ფეხი შინისკენ. შინ მას არავენ დასვდა და ეს ძალიან გაუკვირდა, რადგანაც მურია მანც თავის დღეში არა ჭმარდებოდა სახლსა. იმან დაუმასა მურის; მურამ არ მოიბრინა მახილსედ და გოგიამ სელ-მეორედ დაუმასა ძაღლს. ძაღლი კიდევ არა სჩანდა.

— „ნუ თუ მართლა გაანდო საწყალი ძაღლი იმ შეჩვენებულმა დედაკაცმა? სთქვა გოგიამ და თვითონვე შეატეო, რომ ამ ასრმა მას ტვინი აუძვრია, და როდესაც თითქმის დაწმუნდა, რომ ეს ასე იყო და გიგუაც წასული იყო იმის საძებნელად. — მამინ რაღაც თბილმა ქრულიმა გაურბინა გოგიას ტანში, აუღულა ბრასით ეული, გაუსწორა დიდი სნის მოხრელი ზურგი და მისმა თვალებმა გამოჭეარეს ისეთი ნაწერწკლები, რომლებიც მაგვარიც მთელი ათი წლის განმავლობაში არავის ენახა. ამის შემდეგ გოგიამ ისეთის გამეტებით მიჯანხუნა სელ-მეორედ შეღებული

\*) იხილე „თეატრი“ № 12.

კარები, რომ იგი ცალი კოჭაკიდან ამოვარდა და შემოული ბანიდან ჩამოცვივდა წვრილი მიწა.

— მარია! შეკვირბ მან. ზასუსი არ იყო. გიგო! გაუმეორა მან ცარიელს კედლებს. ზასუსი არც ენლა იყო და ის გამოვარდა გარეთ. გარეთ დასვდა ერთი მესობელი დედა-კაცი, მარიამის მეგობარი. იმ დედაკაცსედ კარგა არავის კვადინებოდა, თუ სად არის, ან მარია-მი, ან გიგუა, მაგრამ გოგიამ მას არაფერი ჰკითხა, რადგანაც იცოდა, რომ „არ ვიცი, გენაცვალე-ს“ მეტს ვერაფერს გაიგონებდა მისაგან და გასწია სვეით. სვეით ძალე გიგო, საიდაც წასულიყო გიგუა და სირბილით გაუდგა იმ გზა-ტყვიცის, რომელიც სოფლიდან მიდის ბებრის-ციხისკენ. ის ძალე გასცდა ბებრის ციხეს, ორღობეს და მიუახლოვდა ღართის-კარს. იქნება ღართის კარსაც გასცილებოდა, მაგრამ ერთბაშად შემოესმა უკანიდან ძახილი და გოგია შედგა, ელვის სისწრაფით მოსვდა ეს ხმა მთა-ბარს, მათ გაიმეორეს ძახილი და გოგიამ გაიგო რომ ეს იყო: „მუ-რი-აა!“ და გასარებული გაიქცა იმ მსრისაკენ, საიდაც ის მოისმა. მაგრამ ძალე იძულებული იყო შემდგარიყო, რადგანაც ჰატარა ხანს შემდეგ აღარ იცოდა, საით წასულიყო. ის უცდიდა მეორე ძახილს—მეორე ძახილიც, თუმცა კი გვიან, მოისმა. გოგიას უნდოდა მიეცა ხმა, მაგრამ შედგა, რადგანაც სამართლიანად გადასჭრა, რომ ასრე ადვილად შეეძლო დაეკარგა შეილი.

გიგუა მამის ხმის გაგონებასედ უფრო მორს გადაიკარგებოდა, რომ მას არ დაეძალა მისთვის მუროს ძებნა და გოგიამ გადასწვიტა, რომ ის უფრო ჰკვიანურად მოიქცევა, თუ რომ ხმაზედ მისდევს მის კვალს და ბოლოს დაიჭერს როგორმე. უკანასკნელ ძახილ-

სედ იმას უნდოდა ესმარსა ეშხაკობა და დაეღმუა ძალღვიით, მაგრამ ძალე დახლება ამ ასრს თავი, როდესაც ჰირველივე ცდის შემდეგვი შეატყო, რომ მას ხმა არაფრით არა ჰკვიანდა ძალიხას და გასწია კიდე; გიგუსკენ. აი ის ავიდა თეორ მთასედ, ისა სდგას იმ ალაგსედ, საიდაც მოესმა უკანასკნელი ძახილი გიგუასი და გულ-მოღკინეთ ეძებდა იქ გიგუსს კვალს, როგორც შორიდან მოესმა ახალი ძახილი. გიგუა ჩასულიყო ქვეით. სიარულით დაქანცულმა გოგიამც გამოხწია ქვეით. კარგა ხანი მოინდომა ქვეით ჩასვლამ, მაგრამ მთელ ამ დროს განსმაჯლობაში ერთხელაც არ ჰსმინია გოგიას გიგუსს ხმა; ის თითქოს შესწედა იმისაკის, რომ სრულიად მოეკვთა უბედური ძამისთვის შვილის ზოგნის უკანასკნელი იბედი. ათას ნაირი ერთმანერთსედ უფრო მწარე ფიქრი სტანჯავდა საწეაღს გოგიას: აქ ხმა ცოფიან ძაღლსედ, აქ ვეებრთულა მთების და ფლატეების უცოდინარობა, რომლებშიაც გიგუსს ეოველს ჟამს შეეძლო ჩავარდნილიყო და მოეტეხა კისერი, ისე ცუდათ იმოქმედეს მასსე და ისე აუძღვრიეს ვული, რომ მას მოაწვა თვალსე მთელი ზღვა ცრემლებისა, რომლებიც დრომდე მარტო იბიტომ შეაქენა რომ მას უნდოდა ასვლა ბებრის ციხის მთასე, რომ იმის სიძალიდამ, მინამ დაისვენებდა ახლის ბებრისთვის, ერთი კიდეე გადაევაო თვალის უკანასკნელის იმედით გარშემო ალაგებისთვის. და აი ისა სდგას ბებრის ციხესედ და ბეჯითად იუზება აქეთ-იქით. დილის მძკენიერი სურათი ბუნებისა სრულიად შეცვლილ იყო შეადღისას. არც ფრინველების კვილიხივილი, არც ხალხის მოძრაობა, არც საქონლის ბღავილი არ არღვევდა შეუღრობას; მარტო ორი ჯენასის ორივე წელის ასაყვანა ჩარსები ზრ სწვეეტდენ თავის მწუნარე ტიროლს

და მათი მიღებიდან ამომავალი წმინდა წყლის ქვევითვე ჩამაცვივარი სმირი წინწკლები შეადღის მსხვედ აღმასის წვიმასავით ბრწყინავდენ.

ი. რევიშვილი.

(შემდეგი იქნება)

მიბაძმა კორტულალსკინასადმი

(ბაირონიდამ)

**6** აზი აღერსით აღტაცებულმა „სიცოცხლე“ მითხარ სანუგეშებლად. ძარგია წლები რომ ყმაწვილობას ბანუტოვებდენ ხელ-უხლებელად.

\* \*

მაგრამ სიცოცხლე წამისა არი; და აწ როდესაც ყელს მეხვეოდე; მსურს „სულო“. ს უკვდავს ვით ჩემ სიყვარულს „სიცოცხლე-ს“ ნაცვლად მეუბნებოდე.

რ. აღისუბნელი.

ად'ორჩეული აზრები ჭეიხისი, ხელაგნების შესახებ

ხმლომენება

(დასასრული)

ბერლიონის მუსიკაში არწივის ფრთების ქსევის სმა ისმის, იგი სრულიად ჭარმონიულს სმებს მოკლე-ბულია, როდესაც იმის მუსიკის სმა მესმის, ასე მეონია მსგეებს სიტყვს სადმე და იმათი ღრიალი მოდის მეთქი (6. 274).

ფერდინანდ გილერი უფრო აზროვანი მუსიკანტია, ვიდრე მგრანობიერი. იგი დოკტრინიერა მუსიკაში (6. 277).

შოლინს ვიარდო, ბუღბული კი არ არის, რომელსაც ჩამომავლობითვე მოსდგამს ჭარმონიულად გა-

ზაფხულს უგალობოს, ვიარდო არც ვარდა; იგი სიმშვენიერეს მოკლებულია, მაგრამ იმის სიმასინჯე ბრწყინვალეა; თითქმის ღამაზიც არის. ეს სილამაზე ცივილიზიური არ არის, იგი მოგვკატონებს საზარელს ტროპიკულს ფლორის სილამაზეს; როდესაც იგი გალობს, როდესაც იგი ჰირს ალებს საშინელს თეთრის კბილებით და ველურ-სიტკბოებით იცინის, ის-ის არის მოკელი, რომ იმის ჰირიდგან მსეტი ამოვარდება რამეო და აქეთ იქით იტყირები შეიფარო თავი (6. 258).

ისეთს გალენას ასდენს ღამაზ ქალებსედე მუსიკა, რომ როდესაც ისინი ოპერას ისმენენ, — როგორათაც მასწავლებით განათებული სტატუია, რომელიც გარედგან არის განათებული და ასრე გვგონია, შიგნიდგანაც ისეაო. ერთი სიტყვით, — მასინ ჩვენ იმათი გული სირღმეებიდგან ყოველივე საიდუმლოებს კვითსულბოთ. (7. 92)

ერთი დღის ვირტუოზების რეპუტაცია ისე იკარგება უგზო-უკვლოდ, როგორც შარშანდელი თოკელი (6. 280).

როსსინის მუსიკა მეტად ტკბილი და ჭარმონიულია; ზოგჯერ გაღელვებს იგი, ზოგჯერ აღტაცებაში მოჭეკვარ, ყოველივე მასში დასატული, ხან კაცე დასტურრავს იმის მუსიკის სმასედე ზღვასავით აღელვებულს სიყვარულში, ხან გაგმირებს, ხან გაღელვებს; ზოგჯერ ვნებათა დეღვით გაგსებს, ხან კიდევ მეტათ განაწყებს. საერთოდ, როსსინის მუსიკა მელოდიური სისათისაა. მეიერბერის მუსიკა კი უფრო ჭარმონიულია; ჭარმონიულს ზვირთებში, მელოდიები დასტურრავენ, როგორათაც ინდივიდალური გრძნობა სდღისის გრძნობაში. ამ ჭარმონიულს ზვირთებში ხდღისინანდ სტამაზს ჩვენი სული, როდესაც იგი მსოფლიურის მწუხარებით, ანუ სიმსიარულით აღტყურვილია. მეიერბერის მუსიკა უფრო სოციალურია, ვიდრე ინდივიდუალური (6. 212).

ფრანც ლისტის მუსიკა სრულებით არ მიყვარს, ცუდით მოჭმედობს ჩემს გრძნობებზე; მით უფრო, რომ მე ვსედეკ ყოველივე იმ თვისებებს, რომელსიც მაყურებელთ მხოლოდ მღაბალი სმა ესმით. მე დღეს მასსოვს კიდევ ერთი იმის კონცერტი. ის კონცერტი ისე მეჩვენა, რომ მე მეგონა აშოკალანისსადგან ამოურჩევიას ის ტემები მეთქი. ჰირველში ვერ შეგნიშნე ის ოთხი მისტიკური მსეცები, მე მხოლოდ იმათი სმეები მესმოდა, როგორათაც არწივის და ღომის ყვირილი. მე ვნახე ხდღისი, რომელნიც მოაჭირების წინ გაფითრებულები თასთახებდენ. ჰირველად სტანამ თეთრის რაშით ითამაშა. იმის შემდეგ ნელ-ნელა სიკვდილმა გაიარა. ეს ყოველივე მე ვნახე (6. 224).

შოპენი, რომელსაც — ფრანსუზი მშობლები ქუვა-

\*) იხილე „თეატრი“ № 13.

ნან, ზოღაში დაიბადა და სწავლა გერმანიაში მიიღო. ზოღაში მანდელი სული მისცა და ისტორიული უკუდურება, საფრანკეთის—სამხუშუქი და თამაშობა, გერმანიაში—რომანტიული გომონბიერება (ნ. 226).

მალა ზეცაში სედაკ იმ ზეცას ეკითხვოდ ფერმხილდეს მოვარის რგოლს, ზეცას ახვარს მდინარეს, თითქმის ებრალებო, ისრე ადგის იმისა შუჭი მხეჭიფაბე ამას ტაღლებს, რომელად სსსსცილოდ იგდებს და სმელეთისკენ ისვრის. მკვრამ დრო მოკუ, როდესაც მოვარე უწინდებურად გაიბადრება სრულის შუჭით და ყველა მდინარეს მოეფინება; მასინ ტაღლები იმის წინაშე შიშით კანკაღს დაიწყებს და დასაღას თაყვანს სცემენ. აი, მკვასანი ამისთანაა. (8. 63)

ზოქის კაცის ავად-მოყოფა. (2. 187)

მკვასანი მხოლოდ თავის სიუბეტიონობას უწინდა მიეცეს, იმას უნდა შეეძლოს სუყველაფრის დაწერა. (6. 184)

მკვასანმა განსაკუთრებით ორს მოთხოვნილებას უნდა მიაქციოს ყურადღება, იმის ღირებულებას სიმღერებში ბუნებითი სმ უნდა ისმოდეს, ენიერში და დრამატული ში—მსახირობა, ისინი არიან თავისუფლად შექმნილი, როგორათვ ზაღადა, აფინა, რომელნიც სრულიად შეკანულები მკვასანი ს სულადგან გამოდიან (2. 113).

მხოლოდ დიდს მკვასანს შეუძლიან თავის მღეროკე ზოქის გაგონ. წარსული ზოქის უფრო ადვილი განსტება (3. 164).

უკანასკნელ თხზულებასი ნამდვილის მკვასანის სრულეობითაც კვრს სჯობიან წინაპირველთ.

ივ. ჯაჭანაშვილი.

კომედიურის ენით არის დაწერილი, რომ მე მკონია მასრამიანის ლექსიკონიდან არის სიტყვები ამოკრეფილი. რაც ტიპებს შეეხება, მეტადრე მაშინ, როდესაც ყველანი ერთად სცენაზედ თავს იყრიან, სწორედ მეორედ მოსელა მომავონდა, როდესაც საფლავიდან მკედრები უნდა აღსდგენენ; არც ერთს იმათში აღამიანის გრძობიერებანი არ მოიპოვებინ, იგინი სრულიად ამ სოფლიურს ქვეყანას არ ეკუთვნიან, მაგალითად როგორც ბორჯახპია (ი. გაგარელი) და შაფლანი (პ. მოხევე). ამის მავარი ტიპები იქნება წარლუნის წინათ კი იყვნენ, თორემ მას აქეთ კი არა მკონია. ჩვენის აზრით, ისა სჯობდა, რომ ბ. შიკაშვილს ეს პიესა გადმოერთარკმნა, რადგანაც აზრი სრულიად დაუკარგვინებია. რაიკა შეეხება მოთამაშეთ, საერთოდ ყველამ სინიდილისინად შეასრულეს გარდა ბ. მაქსიმოძისა, რომელმაც სრულიად არ იცოდა თავისი როლი და ხშირად იბნეოდა. მანსაკუთრებით, კარგა ითამაშეს მ. საფაროვი-ბაშვიძისა, მ. მძინაროვისა, მ. ანდრონიკოვისა და მ. აბაშიძემ. ამ მოთამაშეებს, რომ არ ეშველათ ბ. პ. შიკაშვილისთვის, იმის პიესაზედ პუბლიკა ღრმა მოსვენებითის ძილს მიეცემოდა.

ჩვენდა სამწუხაროდ ამ უკანასკნელს დროს თეატრში ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. ნეტავი როდის მოვა ჩვენი პუბლიკა არსებაში და შეიგნებს თეატრის გემოს, მნიშვნელობას და დაიწყებს სიარულს?—ნუ თუ საკმარისი არ არის ამოდენი ხნობითი კაბინეტებში ბასი და ქორებზედ ლაპარაკი?

ი. კ—ლი.

თეატრი და მუზიკა

ქართული თეატრი

ქართულმა დრამატიულმა დასმა კვირას, 17-ს ნოემბერს წარმოადგინა „პლერსთა ბადე“, კომედია 4-ს მოქმედებად, გადმოკეთებული პ. შიკაშვილისაგან. ამ პიესას რუსულს რეპერტუარში არა მცირედი ადგილი უჭირავს, მაგრამ ქართულს სცენაზედ კი ვერაფერი შთაბეჭდილება იქონია. ამის მიზეზი ბ. გადმოკეთებელია, რადგანაც არც ერთი მხარე კომედის კანონისა, ამ პიესაში არ არიან დაცულნი; ისეთის მძიმე და არა

ოკრიოდ სიტყვა ბატ. ჩ.

ბაზეთ „ბაეკაზის“ მე 309 ნომერში დაბეჭდილია შენიშვნა ვილაცა ჩინისა შესახებ ძვირინდელ ქართულ წარმოდგენისა. ბატ. ჩ., სხვათა შორის, უსაყვედურებს ეხლანდელ ქართული თეატრის მოთავეთ, რომ ბევრი ნიჭიერი აქტისტები არ არიან მოწვეულნი წელს ქართულ დასშიო, რალაცა პირადი უთანხმოების გამო ანტრეპრიზსთანაო.

ჩვენ ვალად ვრაცხთ მოვავგონოთ ბატ. ჩ., რომ თითქმის ოთხი თვის განმავლობაში, ეხლანდელი ქართული თეატრის მოთავე, გაზეთებში აცხადებდა და იწვევდა ყველა მსურველთ ქართულ დრამატიულ



დასწი შემოსასვლელად. მისაც კი სურდა და მოგე-  
მართა დაუყოვნებლივ იყო მიღებული. აბა ერთი  
მოგვეგონოს ჩ., რომელმა ნიჭიერმა არტისტმა გა-  
მოგვიცხადა სურვილი დასწი შემოსასვლელად და  
ჩვენ უარ-ეყავით?

მხლანდელ დასს შეადგენენ: ქ. ქ. საფარავი-  
აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა (ამ არტისტკამ მუდმი-  
ვი მონაწილეობის მიღება არ იწება და მხოლოდ  
დრო გამოშვებით ისურვა თამაშობა) ანდრონიკოვი-  
სა, მისინაოვისა, ტარნილოვისა, ბ.ბ. ანაშიქი, ჯეკსონი-  
ვი-მესხივი, მახევი, მაქსიმოვი, ი. ცაგარელი, ბ. ლომიქი  
და სხვ. ბევრს წილს ამ არტისტებისას თბილისის  
ქართველი საზოგადოება დიდი ხანია იცნობს, რო-  
გორც ნიჭიერ არტისტებს და ბატ. ჩ. ატესტაცი-  
აში არა საქირობენ. ამ არტისტებს შორის მხოლოდ  
ერთი არტისტის სახელი აკლია. ეს ვახლავსთ ქ.  
შიფიანი. ამ არტისტთან ჩვენ დიდი ხანი გეჟონდა  
მოლაპარაკება, მაგრამ ჩვენ და სამწუხაროთ ფასში ვერ  
მოუხრივით. იმ ჯილდოს რასაც ბ. შიფიანი გეთხოვდა  
(ყოველ გამოსვლაზე ხუთი თუმანი, მაშასადამე  
ექვსჯერ რომ ყოფილ იყო მოწვეული თვეში ოცდა  
ათ თუმანს შეადგენდა) ღარიბმა ქართულმა დასმა  
ვერ შესძლო. ბატ. აწყურელიც მოწვეული იყო  
და 1 ოქტომბერს თბილისში უნდა ყოფილიყო,  
მაგრამ ისიც, ჩვენ და სამწუხაროდ, დაგვიანდა და  
მხოლოდ ოქტომბრის გასულს გამოცხადდა, მაშინ  
როდესაც დასი უკვე შემდგარი იყო და მის მაგიე-  
რად სხვა იყო მოწვეული. სხვა ვილა დარჩა? სად  
არჩან ეს ნიჭიერი არტისტები? ნუ თუ ბატ. ჩ. შარ-  
შანდელ არტისტებს ატესტელს, მტებელს, ტყვი-  
ველს და სხვ. სთვლის ნიჭიერ არტისტებად?  
მართალია ამ არტისტებმა შარშან დიდი არტისტიკი-  
ლი ნიჭი გამოიჩინეს დრამებში: „უკანონო შეილი“,  
„ძაკო ყაჩაღი“, „ახალ-გაზდა ქალის სიყვარული“;  
ამ ნიჭიერი არტისტების გამბედაობამ იქამდისინაც  
კი მიადწია, რომ თვით შექსპირის და შილერის  
გვამიც შეურაცხვეს. მიმეორები კიდევ, თუ ბატ.  
ჩ. ეს არტისტები მართლა ნიჭიერ არტისტებად მიჩ-  
ნია და იმიტომ გვისაყვედურებს, რომ წელს ისი-  
ნი არ არჩან ქართულ დრამატიულ დასში შერატ-  
ხულნი, ამაზე ჩვენ უპასუხებთ, რომ ჯერ ერთი ეს  
არტისტები მაინც და მაინც დიდს დანაკლის არ  
შეადგენდენ ქართულ თეატრისათვის და მეორე და  
უმთავრესიც ის არის, რომ არავის მათგანს არ გა-  
მოუცხადებთ სურვილს დასში შემოსასვლელად.

მარწმუნებთ ბატ. ჩ., რომ ჩვენ არასოდეს და

არავისთან არავითარი პირადი ანგარიშები არა გეჟო-  
ნია და ყოველს ნამდვილს ნიქს და მშრომელ  
კაცს ადგილი ექება ჩვენ საწყალ თეატრში.

◆◆ შაბათს, 16 ნოემბერს, თბილისის კლუ-  
ბის ზალაში გამართული იყო მუზიკალური სალა-  
მო თბილისის საქალბო გიმნაზიის დარბაზ მოსწე-  
ვლოათვის. ამ მუზიკალურ სალამოში მონაწილე-  
ობა მიიღეს თბილისის გამორჩენილმა მუსიკის მო-  
ყვარებმა, რომლებმაც ჩინებულად შესრულეს თა-  
ვიანთი ნომრები. სალამო გათავდა ტანცაობით.  
წმინდა შემოსავალი 700 მანეთამდის დარჩენილა.

◆◆ ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, სომხური  
დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება  
„ქალი ბერძინი“ ოთხ მოქმედებანი კომედია,  
თხზ. მიშინიანიანი. ეს წარმოდგენა დანიშნულა  
ნიჭიერი არტისტის ბ. აბალიანის ბენეფისში.

წერილი რედაქტორს

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული ჟურნალი და მისი მკი-  
თხველი „მთელი უშველებელი ეპისტოლეით“ ჩემზე  
შეუწუხებია ვილაც „მუთათელს“. არავითარ პასუხს  
არ ვიკადრებ მივსცე იმისთანა ავტორს, რომელიც  
იმალება და რომელსაც ემინიან თავის სახელის  
გამოცხადება—ამას, ამ „მალულობის“ მხოლოდ  
„დონოსჩიკები“ შერებიან და აბა რა სათქმელია,  
რომ მე მაგათთანა პირებს პასუხს არ ვაღიარებ;  
მაგრამ იმ წერილში ერთი საგანი არის, რომელ-  
ზედაც საქიროდ ვრაცხ ორიოდ სიტყვა მოგახსენ-  
ნოთ. ის „პატიოსანი“ მშიშარა ამბობს, რომ ქუ-  
თაისის დასი დაიშალაო, ბ. მესხს ორი მოთამაშის  
მეტე არა ჰყავსო, დამფასებლად ამოიჩინესო, თე-  
ატრისთვის აღარ სცალიანო და სხვა-და-სხვა. მე ამის-  
თაობაზე იმიტომ ვწერთ, რომ ყველასათვის, ვისაც  
კი უყვარს ქართული თეატრი, ქართული ლიტერატუ-  
რა საწყენი იქნება ასე უტეებ იმ საქმის ჩაშლა, რო-  
მელიც მე გამოვიწყე ქუთაისში და მართლაც რომ  
დიდი უზარმაზარი სიცრუე მოგახსენათ იმ ვილაც  
„მუთათელმა“: ქუთაისის დასის არ დაშლილა, ყოველ  
არ კვირაში წარმოდგენები იმართება და მოთამაშის

ისე ის ზირები არიან, ვინც ჯამდისან იყვნენ, გაადა  
ორის: ბ. თნისაჲ მინდელისა და ქუყარაძისა, რა-  
მელთაც რაღაც იმურული ხრიკები და სხუეუნი მოინდო-  
მეს და რამდენც მე შეუწყნარებელივ „დესპოტიუ-  
რად“ გამოვირცხე დასსიდაჲ.

კ. მკსო.

ანობები ძველის

### „საქართველოს გახეთქილი“

ნოემბრის 8 დღესა, ჩეით წელსა თვილისში.

### № 36.

მამოცხადებანი \*).

ასტრონომიის მრინცველობათებზე ცხადდება, რა-  
მელ შემდგომს მამაკლს შინა წელს ჩეით ვიქსებათ  
მოწამე ერთისა კიართა გამოცხადებათგანასა ცასა ზედა,  
სასქელდობზე მეშე... 1)

(ასტრონომია არს ვარსკვლავთ მრინცველობა)

რინცესა ხეჭტემბრისასა ახლისებზე შტილის სო-  
ლო ძველისებზე ოც და ექვსსა რინცესა 2)... ტლასა  
შუადღისას იქმსების სრული დახელება შხასა, რომე-  
ლიცა ფრად დიდის 3)... არს გეინასეს ჩეუნეს და  
შენ 4)... ტასაზედა. ინდურდინდთა შინა 5)... არს ამა  
საგანსა ზედა წიგნი, რომელიცა მეწერების მეტნიერისა  
გაცეს ვანსვიდერსუს სუათითურთ, რომელსაცა ზედა  
გაქოხტულ არს დახელება სამთა სსკა და სსკათა ს-  
სეთა შინა.

(პლანეტა არს ცომილი ვარსკვლავი.)

(დასრულდა)

\*) იხილეთ „თეატრი“ № 13.

1) აქ აკლია.

2) აქ აკლია.

3) აქ აკლია.

4) აქ აკლია.

5) აქ აკლია.

### შექლილი სიყვარულისგან \*)

დ რ ა მ ა ხ უ თ ს ა ქ ტ ა დ

თხზულება დონ მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

### სცენა VII

(შემდგომი \*)

მეშე. სუყველა ისეა, როგორც მე გითხარი.  
მე გავერთე ირპის დენაში... იგი სამჯერ ამცდა  
თვალოდგან.

დედოშალი. კარგი! შენთვის ირემი ჩემზე  
უფრო საყურადღებო ყოფილა.

მეშე. ძეყანაზე მე შენზედ უძვირფასესი არა  
მეგულებარა.

დედოშალი. (თავისთვის) როგორ თვალთ-მაქ-  
ცობს.

მეშე. (თავისთვის) მე ამას უნდა გული მოუგო,  
თორემ მისი ბურგოსში წაყვანა მომინდება.

დედოშალი. იმედი მაქვს, რომ დღეს მაინც  
დარჩები ჩემთან.

მეშე. ჩემდა სამწუხაროდ არ შემიძლიან ავი-  
სრულო თხოვნა.

დედოშალი. და ეს ახალი დამტკიცებაა, რომ  
ჩემზე უძვირფასესი არავინ გეგულება?

მეშე. რა უსაფუძლოა შენი სიყვარული: მართა-  
ლია—მე შენ მთელს დროს ვერ ვახმარებ, როგორც  
მე მსურდა, მაგრამ ესეც უნდა წარმოიდგინო, რომ  
მეფე ყველაზე უწინარეს ხალხს ეკუთვნის... მოიგონე,  
რომ მე გარს მარჯვე მტრები მარტყია და ასე გა-  
შინჯე რომ მამაშენსაც კი ვერძებო.

დედოშალი. მამაჩემი! მალ-მალ რისთვის მიხ-  
სენებ ხოლმე მას? შენ იგი ქასტილიიდგან გასდევნე  
ისე, რომ არცკი დაცადე ეკოცნა ჩემთვის!..

მეშე. თვითონ არ მოისურვა შენი ნახვა.

დედოშალი. რომელი მამა არ მოინდომებს  
თავის ქალიშვილის ნახვას? ეს შესაძლო არ არის!

მეშე. ექიმები ყოველ დღელებას მავნეთა  
სთელიან შენის ჯან-მრთელობისთვის...

დედოშალი. შენსულ ექიმებზე მელაპარაკები  
და ჩემში იგულისხმებ ისეთს აეად-მყოფობას, რო-  
მელსაც მე არა ვგრძნობ. ჩემი სიცოცხლე, შილიძე,  
ეს შენი სიყვარულია. წამარჯვი სიყვარული  
მასთან სიცოცხლესაც მომისწრავებ; რწმუნება შენი  
სიყვარულისადმი და სიცოცხლე ერთსა და იმავე  
დროს დამტოვებენ. შენი ღალატა მე მომკლავს!

\*) იხილეთ „თეატრი“ № 13.

**მეფე.** უფრო შენი ეჭვი. ეს აქამდისინაც ამამირეცხადა გულიდან შენდამი სიყვარულს, რომ ეს უკანასკნელი ძლიერი არა ყოფილიყო—ეს ეჭვი, კი მას დიდს ყურადღებას არ ვაქცევ, მაინც მაჯავრებს, მაგრამ სიყვარული სძალავს ჩემს ჯავრებს და მე გიმეორებ: მიყვარხარ შენ.

**დედოფალი.** შენ ამეებს რისთვის მეტუნები? რისთვისა ცდილობ დამაჯერო, როდესაც არ უნდა მჯეროდეს.

**მეფე.** რატომ არა გჯერა შენ ჩემი სიტყვა?

**დედოფალი.** რატომ? შენ ეხლა არასტევი—ვერ ავასრულებ შენ სიტყვასა, შენთან ვერ დავრჩებოა: მითხარი მიზეზი....

**მეფე.** სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, თუ არ ჩემი მუდმივი საქმე.

**დედოფალი.** შენ გინდა სასახლე დასტოვო?

**მეფე.** შეიქნობ.

**დედოფალი.** სასტუმროში გინდა წახვიდე?

**მეფე.** როგორ? რას ამბობ მაგას?

**დედოფალი.** მე სულელი!... როგორ იცი ჩემი მოტყუება!

**მეფე.** ბანმარტეთ სუყველა ეს, ბატონო...

**დედოფალი.** ბანა საკმარისად არ გითხარი? რა გიზიდავს იმ ჭუჭყიან პაპილიონში?

**მეფე.** (თავისთვის!) არ იცის?

**დედოფალი.** თქვი! მამეცი პასუხი! ეცადე მოიგონო რამე—რომ მამატყუო...

**მეფე.** ჩვენ ერთად ვერ მოვრიგდებით. ექიმების და სუყველა უერთგულესი სასახლის კაცების აზრის წინააღმდეგ მე მსურდა შენთან მემგზავრა...

**დედოფალი.** მართლა? მადასწყვიტე კიდევ?

**მეფე.** მხლა კი დავრწმუნდი—რომ ეს შეუძლებელი საქმეა. შენ დარჩები ტუდოლში და მე კი გავალ აქედან.

**დედოფალი.** არა, შილიბე, არა, წავიდეთ ერთად.

**მეფე.** ტყუილად-ლა მთხოვე...

**დედოფალი.** ნუ მტანჯავ! მითხარი მიზეზი, რისთვის იყავი იმ სასტუმროში. თქვი და მე დავიჯერებ.

**მეფე.** შენი მოსვენებისთვის ამას მე აქამდისინ გიმალავდი და ამისთვის აი შენ რითი მაჯილდობ!...

**დედოფალი.** შენ მე სიცოცხლეს მისწრაფებ!...

**მეფე.** იქ მე ჩუმად ერთს სახემწიფო საქმისთვის დავდივარ.

**დედოფალი.** სახემწიფო საქმე?

**მეფე.** დიახ, ბატონო, დიახ.

**დედოფალი.** ძარგი. მე მჯერა. ზაგრძელე.

**მეფე.** მე ეცდობ მოვიძრო ამამშენის ერთი უერთგულესი მეგობარი.

**დედოფალი.** გერცოგი ალბი?

**მეფე.** ის ყოველთვის აღელვებდა ხალხს იმ მიზნით, რომ სამეფო გვირგვინი მეფე დონ-შერდინანდისთვის ჩაებარებინა. მხლა, ჩემდა საბედნიეროდ, დავიყოლიე იგი; იმას არ უნდა რომ ამ ამბავმა ეხლავე მეფემდის მიახწიოს და მისთვის მთხოვა—რომ საიდუმლოთა გეკონდეს ერთმანეთთან თათბირი

**დედოფალი.** (თავისთვის) მე მალე შევიტყობ,

თუ ეს რამდენად მართალს ლაპარაკობს.

**მეფე.** დარწმუნდი შენს უსამართლობაზე?

**დედოფალი.** დიახ, რაკი რამე სქეი—სუყველად ვფერი მჯერა. ხეალ ხომ ერთად წავალთ?

**მეფე.** უმადურო! ნუ თუ გგონია, რომ შენი წაყვანა მე არა მსურს? მარწმუნე შენს ქმარს, ნუ აჯავრებ შენი ეჭვით კაცს, რომელსაც ძალიან უყვარხარ.

**დედოფალი.** იცი, შილიბე, რომ ეს დღეა მომიღებს მე ბოლოს? დიახ, მე მოვეკედები იმითი, რომ დღესა მრწამს, ხეალ კი ისევე ვეჭვობ; იცი შენა, რომ ჩემი სიყვარული ძლიერდება წუთობით და შენი სიძულეით უფრო მტკიცდება იგი; იცი, შენ რომ როდესაც იგი ვახდა ჩემ მოვალეობად, იგი მუდმივად იზრდებოდა... მე შემეყვარდი პირველად დაგინახე თუ არა, უფრო ძრიელ შემეყვარდი, როდესაც გავხდი შენი მეუღლე და უფრო ძალიან, როდესაც შენი ბავშვების დედა შევიქენი.

**შილიბე,** ცოცხალია ხომ ის, ვინც მე სიცოცხლე მომანიჭა, სცოცხლობენ ჩემი ბავშვებიც, და ზეცაშია ის, ვისაც თვისი სისხლით დაუხსნია კაცობრიობა. შემისმინე და შემიბრაღე მე უბედური: სიყვარული მეუღლისა უფრო ძლიერია ჩემში, მინემ სიყვარული ქალიშვილისა, დედისა და ქრისტიანისა! მე ვიცი—რომ ეს შეცოდებაა: მე ამითი ვგმობ ბუნებასა და ღმერთსა, ზეცა მე ამისთვის დამსჯის, მაგრამ ვაჰმე, ამითი მე ვერ მოვრჩები.

**მეფე.** შენმა ნაზმა სიტყვებმა ჩააღწიეს ჩემი გულის სიღრმეში. ისინი მამბედინებენ ვთხოვო—მომცეთ ნება—ზურგოსშიც და მალიადელოდშიც განვაგებდე მე სახელმწიფოს, რომელიც ორივეს გვეკუთვნის.

**დედოფალი.** მე დედოფალი ვარ! ჩემი დედის იზაბელის გვირგვინის ტარება ნიშნავს ჩემს ბატონებას მეფეებზედა. მაგრამ იცოდე რომ მე მძულს ეს დიდება, მე ეს არაფრად მიმაჩნია იმ გრძნობასთან შედარებით, რომლითაც მდიდარია ჩემი გული. აღმასის გვირგვინის მაგივრად მამეცი შენი

ხელით შეკრული ყვავილის კონა. მეფის პალატის მაგიერ, სადაც გარს აუარებელი ხალხი გვარტყია, მომეცი დაერდომილი ქოხი, სადაც მარტოდ-მართა ჩვენ ჩვენი შეილებით ვიცხოვრებთ. თვალ-მიუტვლომელი სახელმწიფოების მაგიერად, მამეცი პატარა მინდორი, ცოტაოდენი ნაყოფი და საფლავი, სადაც შეგვეძლება ერთად განვისვენოთ ძლიერების და სახელის მოხვეჭის მაგიერ—მომეცი. მე შენი სიყვარული და მაშინ დავიჯერებ, რომ მე შენდობილი ვარ და საღიზნებელიდგან სამოთხეში გადავსულვარ.

**მეუპ.** ჩემო ძვირფასო ხუანა!

**დედოფალი.** ჩემს თვალებს ბევრჯელ გამოცხადებია განუზომელ სიგრცეში პატივსაცემი აჩრდილი დედაჩემის იხაბელასი. მრავი ხელით ივი ერთს ქვეყანაზე მანიშნებდა, მეორეთი—მეორეზე... მე ვხედავ იმათ ერთი-ერთმანერთს ალერსში. მართი იმათვანი კერძავე თანის ძმას საკუთარი ქალწულე-ბითი ნიადაგის სამკაულს, მეორე ამ საჩუქრისათვის უგზავნის შრისტეს დიდებულს სახელს და თვის სარწმუნოებას. მე მესმის დედოფალი იხაბელას ხმა, იგი ამას მეუბნება: გქონდეს ხსოვნაში შენი სღმრთო მოვალეობანი; და შენ მე მესსომეგო, გიყვარდეს შენი ხალხი, და შენ მე მეყვარები, გაუფთხილდი ჩემს სამკვიდრებელს, გააერცელე იგი; და თუ შეიძლება გაანათლე, შეადგინე და დაიფარე იგი. ჩემი გული კი ამას უპასუხებს, რომ მთელ

ჩვენ სამფლობელოში მე ერთად ერთი მიყვარს... მე მინდა ვიცრემლო, როგორც შენანებული დედოფალი, მაგრამ მეტირება, როგორც შეყვარებულ დედაკაცს. სხვა რაღა გითხრა კიდევ? ანგელოზი რომ ჩამოვიდეს ზეციდგან და მითხრას: ჩემს ხელშიასაშუალებაა მოვსპო ყველა შენი ტანჯვანი, დავამსხვრიო ბორკილი, რომლითაც შებოქვილი ხარ და დაგიბრუნო წარსული ქალწულობითი წელიწადები. იმას დაუყონებლივ ამას ვეტყუდი: არა, არა, ათასჯერ არა... მე მინდა ვიყვე მეუღლე შილიბესი! მე მინდა მიყვარდეს იგი, თუ გინდაც რომ იმას ვეჯავრებოდე, მე მინდა ვიტანჯო და ისე მოვკვდე, ისე, რომ იგი ჩემს საკუთრებად მეგულებოდეს.

**მეუპ.** დამშვიდდა და მოიწმინდე ეგ შენი მარგალიტი ცრემლები.

**დედოფალი.** იგინი სიხარულისანი არიან.

**მეუპ.** ღმერთსა ვთხოვ, რომ შენ თვალზე სხვა ცრემლო არ დამენახოს. ღონ-ხუან მარუელი მელის. მე კიდევ გნახამ და გამოვკვამვილები.

**დედოფალი.** წადი, წადი, ჩემო შილიბე!

**მეუპ.** (ძიღის და ისევ პარუნდება) მაშ მძძვე სიტყვას, რომ მაგ-გვარ ექვიანობას თავს დაანებებ?

**დედოფალი.** მძძვე.

**მეუპ.** (თავისთვის) ოჰ, ჩემს ურცხობას საიდვან-ლა გავექცე!

აღ. ნა—თ—მე.

(გაგრძელება იქნება)

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიაძე.

ქართული თეატრი  
18 85  
თბილისი, 27 ნოემბერს



ბენეფისი  
გ. აბაშიაძის

წარმოდგენილი იქნება:

I  
ქსლანდელი სიძვარული  
ქომელია 4 მოქმედი, გადმოკ.

II  
ახალი  
პერკულიანი  
პოდვეილი 1 მოქმედებად.

III  
დინობისაგანი  
რომელმაც მაღლებენ მონაწილეობას  
სხვათა შორის გნ. ნახა ორბელიანას  
და თ. ჯგაჯი წერეთელი.  
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.  
დასაწყისი 8 საათზე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА  
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41-й годъ изданія).

Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ“ будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

съ доставкою въ Тифлисъ.	СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ	
	по Имперіи	по почтовому союзу
На годъ . . . 11 р. 50 к.	13 р. . . . .	18 р. 40 к.
„ полгода. 6 р. — „	7 р. . . . .	10 р. — „
„ 3 мѣсяца. 3 р. 50 „	4 р. . . . .	6 р. — „
„ 1 мѣсяць. р. 50 к.	2 р. . . . .	1 р. — „

Подписка принимается исключительно въ Канторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Еарятинской улицы. домъ Ротинава. Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“